

34105924
202-111013

572
1966/2



1966 0303033000

5055

№2

სეთიპეკარი

პასილ ვეპეპა

ნახატი მიორამი როინიშვილი

რა დილაა, რა დილა—
ცინცხალი და კრილა!
თებერვალი შხეს აფრქვევს,
თოვლის ფანტკელს კი არა.

მან გზა გასსნა უჩვევი,
და შხეს მისცა შხეობა—
გებებუა ქუჩები
საქართველოს დღეობას..

იგი ოქროდ დამდნარი
ძთა-ბანს მიესაღმება...
უეუანთა სადარი
ფურთა შეისხეს აღმებმა.

სითა მინდვრებს, მდელეებს
აუვლის და ჩაუვლის.
ჩვენი თებერვალი!
ჩვენი დღესასწაული!

ვაჟარ ბოლქვაძე

საუკუნის ოქროვ, ზურმუხტო და ლალო,
დედა საქართველოს მხსნილო თებერვალო!
ჩვენმა წინაპრებმა ბევრი სისხლი ღვარეს,
რომ შენ სტუმრებოლი აკენისხელა მხარეს,

რომ შენ აგვდინა გმირი ხალხის ნატვრა, -
საქართველოს რუკა ახლად დავეხატა.
ჩვენო თბილო მიწავ, ჩვენო წმინდა წყალო,
თებერვლის თვით სუნთქავ, თებერვლის თვით
ხარობ.

დოვლათის და ხვავის მოელვარე მზეო,
ჩვენი დედა ენის უკვდავების თვეო.
ჩვენი ძლიერების ფოლალო და რვალო,
სწავლის თებერვალო, შრომის თებერვალო.

გლოცავთ ყველა ნორჩი ასული და ძეო,
მამულიშვილებად ჩვენი დაზრდის თვეო.
მარად გვაამაყე, მარად გვინათეო,
ბედნიერი ხალხის საზეიმო თვეო!



ჩვენი სკოლა

მუშაობს ბავშვებთან

ნახატები ზურაბ მუხამარიანი

მე თამაზი მჭევია, თელავში ვცხოვრობ, აი, იმ ღამეზე სახლში—ძველისძველი გალანის ახლოს რომ წამოვიმულა.

ეს ჩვენი სკოლა-ინტერნატია, ჩვენი ოჯახი.

სკოლის დერეფანში ვაკრულია საბატო დაფა; ხუთოსანი მოსწავლეების სურათებს შორის ჩემი სურათიცაა და ჩემი თანაკლასელებისაც—უშანგისი, მარინისი, ლამარასი.

დერეფნის ერთ კუთხეში წითელი დროშაა. ამ დროშის მოსამოვებლად ყველა კლასი იბრძვის; მათ შორის ჩვენც—მესამე კლასელები. დროშა რომ მოვიპოვოთ, კარგად უნდა ვისწავლოთ და ჩვენც ვცდილობთ, ვიყოთ უფრო ბეჯითები.

ვინ ნააქნია ნაკბი?

პიონერები ეზოში ხეებს რგავდნენ. სასადილოს წინ კობტად ჩაამწყობენ ნერგები. მეორე დღით კი ერთი ნერგი ოქტომბრელებმა წაქცეული ვნახეთ.

— შეხედეთ, ვიღაცას უყოჩაღია!— გულისტკივილით თქვა მარინემ.

ნერგი წამოვაცუნეთ, სარზე მივაბარეთ და მოვრწყეთ. შემდეგ კი პიონერები მოვინახეთ, ისინი შარავზის გასწვრივ ხეებს რგავდნენ.

— ჩვენც დაგვხმარებით.

— აჰა, ყვავილების თესლი, დათესეთ,— გვითხრა ეთერმა და თვითონაც მოგვეხმარა. ეთერი ხომ ჩვენი კლასის ოქტომბრელების ხელმძღვანელი!



10.01.01



ყვეილები დავთესეთ. მალე უნდა ნაჩვენებად მოიქარგა. ეს იყო შარშან. წელსაც ბევრი თესლი გვაქვს. გაზაფხულზე უფრო მეტს დავთესავთ და მთელ გზოს ავაყვავილებთ.

გამოუანა

ჩვენს საკლასო ოთახში რომ შემოხვდეთ, თაროზე ჩამწკრივებულ ნაძერწებს ნახავთ. იქვეა ნახატებიც. მოგეწონს ჩვენი გამოუანა და როცა შეგვაქებენ, ძალიან გვიხარია.

თელავში რომ ჩამოხვალთ, უთუოდ გვესტუმრეთ. საკლასო ოთახში ან საცხოვრებელ კორპუსში თუ ვერ გენახოთ, კლუბში ვიქნებით. კლუბში ტელევიზორს ნშირად ვუყუარებთ ხოლმე. იქ გაცნობთ ჩემს მეგობრებს და მერე ჩემს ლამაზს და კარგ სკოლას დაგათვალიერებინებთ.



ლილია მამრალიძე

ვიშ, რა რიგად მოჩხრიალებს ეს ქვიშხეთის წყარო, როგორც უხვი მასპინძელი, უნდა გამახაროს; კდღიდან კდღეში მოიმღერის— „შარი-შური-შარი“... დადექ წყაროვ, ერთი წუთით, მითხარ მთის ზღაპარი, — ვინ ჩაგლვარა მთების გულში მარგალიტის დარი?!

ნახატი იური ქლიპაძისა





უოთხეულობა

ბევრებმა, თქვენ ალბათ იცით, რომ ვეფხისტყაოსანი ვრცელი პოემაა, დიდი წიგნია. უკრ თქვენთვის ასეთი წიგნების წაკითხვა ადრეა ამიტომ ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა მარი მუხომეიძემ ვეფხისტყაოსნის შინაარსი მოკლედ აი, ასე გაიამბოთ:

ვეფხისტყაოსანი

(მოკლე შინაარსი)

იყო არაბეთში მეფე როსტეგანი, რომელსაც ჰყავდა ერთადერთი მზეთუნახავი ასული თინათინი. როსტეგანთან იზრდებოდა რაინდი ავთანდილი—მხედართმთავარი (სპასპეტი). ავთანდილს და თინათინს ფარულად ერთმანეთი უყვარდათ. როსტეგანი მოხუცი იყო. მან გადაწყვიტა, თინათინი თავისივე სიცოცხლეში გაემეფებინა. ასეც მოიქცა. დალოცა თავისი ერთადერთი მზეთუნახავი ასული და მეფედ დასვა. მაგრამ ნაღიმზე მეფემ მოიწყინა. გამოირკვა, მეფის მოწყენის მიზეზი ის იყო, რომ არ ჰყავდა ვაჟი, რომელიც მისგან მამაცობას ისწავლიდა. მხოლოდ ცოტათი მგავს ჩემი გაზრდილი ავთანდილი. ავთანდილმა შეჰკადრა მეფეს, გაჯიბრებოდა მშვილდოსნობაში. სანადიროდ წავიდნენ. ავთანდილმა ოცით მეტი ნადირი დახოცა, რაც როსტეგანს ძალიან გაეხარდა. დასასვენებლად ხის ძირს დასხდნენ და უცებ დაინახეს წყლის პირას მჯდომი უცხო ჭაბუკი (მოყმე), რომელსაც ვეფხვის ტყავის კაბა ეცვა, შავი ცხენი ჰყავდა, მსხვილი მათრახი ეჭირა და მწარედ ტიროდა. როსტეგანმა მონები გააზავნა, მაგრამ უცხო მოყმემ მათ ხმა არ გასცა, ხოლო როცა შეპყრობა სცადეს, ჭაბუკმა ისინი დახოცა. თვით როსტეგანი და ავთანდილი დაედევნენ, მაგრამ





მან მათრახი გადაჰკრა ცხენს და გაუჩინარდა. უცხო მოყმის გაუჩინარებამ დაამწუხრა როსტე-ვანი. თინათინმა ურჩია მამას, გაეგზავნა ხალხი ქვეყნის ოთხივე მხარეს და დაეძებნათ უცხო მოყმე. როსტევიანის მონებმა ქვეყანა მოიარეს, მაგრამ უცხო მოყმის კვალს ვერ მიაგნეს. მაშინ თინათინმა ავთანდილი დაიბარა, ვადალ სამი წელი მისცა და უცხო ჭაბუკის მოძებნა დაავალა. თანაც შეჰფიცა, რომ მას დაელოდებოდა და სხვა კმარს არ შეირთავდა. ავთანდილმა ერთგულ მონას შერმადინს უამბო ყველაფერი, თავისი ქალაქი ჩააბარა და თვითონ უცხო ჭაბუკის საძებრად წავიდა. ავთანდილმა მთელი დედამიწა მოიარა, მაგრამ მის კვალს ვერ მიაგნო. სამი წლის გასვლას, სამი თვე უკლდა, როცა ხატაელებს შეხვდა. ორ ძმას მესამე დაჭრილი ძმა მოჰყავდა.

მათ უამბეს ავთანდილს: მინდვრად ვნახეთ შავ ცხენზე მჯდომი ვეფხვის ტყავით შემოსილი უცხო ჭაბუკი. მისი გაჩერება გვინდოდა, ჩვენმა უცხო-როსმა ძმამ ხელი მოჰკიდა, მაგრამ ვეფხისტყაო-სანმა ჭაბუკმა მათრახი გადაჰკრა და სისხლი აღინა, ის ჭაბუკი, აი, ეგერ მიდისო—ძმებმა ავთან-დილს უცხო მოყმე დაანახვეს. ავთანდილი მა-შინვე უკან დაეღვევა. ორი დღის სიარულის შემდეგ, ერთ ტყეში შევიდნენ. ავთანდილი ხეზე ავიდა და იქიდან ადევნებდა თვალს. ჭაბუ-კი გამოქვაბულს მიადგა, ქალი გამოეგება, იტირეს და გამოქვაბულში შევიდნენ. მეო-რე დღეს ქალმა გამოაცილა ჭაბუკი და თვითონ გამოქვაბულში შებრუნდა. ავთანდილი ჩამოვიდა ხიდან, ქალთან მივიდა და სთხოვა, უცხო მოყმის ამბავი მიაშვეს. ქალი უარობდა, მაგრამ დიდი ხვეწნისა და მუდარის შემდეგ დაჰპირდა, რომ გააცნობდა უცხო ჭაბუკს. ამჯერად უთხრა მხო-ლოდ, რომ ჭაბუკს ტარიელი ერქვა, თვითონ კი ასმათი. მართლაც, ასმათმა ტარიელი და ავთან-დილი ერთმანეთს გააცნო. ავთანდილმა უამბო ტარიელს მოსვლის მიზეზი, ხოლო ტარიელმა დაწერილებით მოუთხრო თავისი თავგადასავალი:

ინდოეთის შვილი სამეფოდან ექვსი ფარსადან მეფეს ეკუთვნოდა, ერთი კი ტარიელის მამას—სარიდანს. სარიდანმა მოხუცობისას თავისი წი-ლიც ფარსადანს გადასცა და მისგან მთავარ-სარდლობა მიიღო. ფარსადანს შვილი არ ჰყავდა და ტარიელს ზრდიდა შვილად. ტარიელი ხუთი წლის რომ გახდა, დედოფალს მზესავით მშვე-ნიერი ქალი—ნესტან-დარეჯანი შეეძინა. თხუთ-მეტი წლის ტარიელს მამამ მოუყვდა. ერთი წლის ლოგვის შემდეგ, ფარსადანმა ტარიელს მამის თანამდებობა უბოძა. ერთხელ ნადირობი-დან დაბრუნებულმა ტარიელმა შემთხვევით დაი-ნახა ნესტან-დარეჯანი და შეუყვარდა. ქალმა ეს რომ გაიგო, ტარიელს ასმათის ხელით წერი-ლი გაუგზავნა, რომელშიც ერთგულებას ეფიცე-ბოდა და საგმიროს საქმეებისაკენ მოუწოდებდა. ნესტანმა დაავალა ტარიელს ხატაეთზე გალაშქ-რება; ხატაეთი წინათ ინდოეთს ემორჩილებოდა ახლა კი ამ დამორჩილებაზე უარს ამბობდა. ტარიელმა გაილაშქრა ხატაეთზე და ამ ომში



დიდი გვირობა გამოიჩინა, სასტიკად დაამარცხა მტერი, ტყვედ წამოიყვანა ზატაეთის მეფე რამაზი, ურიცხვი სიმდიდრე წამოიღო და სახელმწიფოს ჩააბარა. თვითონ კი ნესტანისათვის საჩუქრად მხოლოდ მოკლე კაბა (ყაბაჩა) და ერთი თავსაბურავი (რიდე) აიღო. ომიდან გამარჯვებით დაბრუნებულ ტარიელს ინდოეთის მეფემ ზეიმი გაუმართა. ნადიმზე ტარიელი და ნესტანი ერთმანეთის პირისპირ იხსდნენ და ერთმანეთის ცქერით ტკბებოდნენ.

მაგრამ მალე მათ განსაცდელი შეხვდათ. ფარსადანმა თათბირი მოიწვია და დიდებულებს მოახსენა, რომ ნესტანის საქმროდ სპარსეთის მეფის (ხვარაზმშაჰის) ძე უნდა მოეყვანოთ. თათბირს ტარიელიც ესწრებოდა, მან შეატყო, რომ მეფეს და დედოფალს წინასწარ გადაეწყვიტათ ნესტანის ბედი, ამიტომ თავი შეიკავა და მეფის თავლის ასახვევად განზრახვა მოიწონა. ეს ამბავი გაიგო ნესტანმა, დიბარა ტარიელი და ფიცის გატება უსაყვედურა. განრისხებულმა ნესტანმა «პირ-გამეხებული» ვეფხვი მოაგონა ტარიელს. ტარიელმა აუხსნა სატრფოს, რომ ის არ აპირებდა არც ნესტანის და არც ინდოეთის დათმობას, ოღონდ თათბირზე შეკამათება შეუძლებელი იყო. ნესტანმა და ტარიელმა მოითათბირეს და გადაწყვიტეს, ჩუმად მოეკლათ ხვარაზმშაჰის ძე. თუ ხვარაზმშაჰის ძე ნესტან-დარეჯანს შეირთავდა, ინდოეთში სპარსელები გაბატონდებოდნენ, რაც პატრიოტი მამულიშვილებისათვის სათაკილო იყო. ტარიელმა მოკლა სასიძო და თავის ქალაქში გამაგრდა. ფარსადანმა შეუთვალა ტარიელს: თუ ჩემი ქალი გინდოდა, რად არ მითხარო. ტარიელმა ნესტანის რჩევის თანახმად, უბასუხა: თქვენი ქალი არ მინდა, ინდოეთს კი არავის დავეთმობო. მალე ტარიელმა გაიგო, რომ ფარსადანი სასტიკად დაემუქრა ნესტანის გამზრდელ მამიდას—დავარს, დავარმა შური იძია ნესტანზე, ჯერ სცემა, შემდეგ კი ზანგებს მისცა, რომლებმაც ის კილობანში ჩასვეს და ზღვაში გადაავადეს. თვითონ დავარმა თავი მოიკლა.

ტარიელმა ზღვას მიაშურა. მან დიდხანს ამოდ ვეძებდა დაკარგული სატრფო. მხლებლები დაეხოცა, დარჩა ორი მონა და ასნათი.

ერთხელ, იგი შეხვდა კარგ რაინდს ნურადინ-ფრიდონს, რომელსაც დაეხმარა მტერთან ბრძოლაში. ფრიდონმა ტარიელს უამბო,

რომ მან ზღვაში თვალი მოჰკრა კილობანს, რომელშიც ორი ზანგი და ერთი მზეთუნახავი ტალი იყო. ამის გაგონებაზე ტარიელს გული შეუწუნდა. როცა გონს მოვიდა, ფრიდონს უამბო თავისი თავგადასავალი. ფრიდონისაგან წამოსულმა ტარიელმა მთელი დედამიწა შემოიარა, მაგრამ ნესტანის კვალს ვერ მიაგნო. შემდეგ დევებს შეებრძოლა, დახოცა და მათი გამოქვაბული მას დარჩა. ამ ბრძოლაში ორი მონაც დაკარგა და მარტო ასნათილა შერჩა. რადგან ვეფხვი თავის სატრფოს აგონებდა, ტარიელი ვეფხვის ტყავით შეიმოსა და სატრფოს დაკარგვას მოსთქვამდა.

ათანადილმა ეს რომ მოისმინა, ტარიელს ძმობა შეჰმეცა და სთხოვა,—ორი თვით წაევალ არაბეთში, შენ აქ დამელოდე, მოვბრუნდები და დაგვხმარებო.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



ილუსტრაციები სერგო ქიპლაძისა



ერთ მღვიმეში

მწყემსი

როცა ცისკარი ღაჭვარდზე
ამოვა, იწყებს ცილსა
და ასტეხავენ სოფელში
ბაკების კარის ჭრიალსა,—

თვალს ვახელ, ვდგები საჩქაროდ,
ახალუხს ვიცვამ ხელადა,
და საქონელი საძოვრად
მიმიდის მინდორ-ველადა.

ვერც წვიმა მიჭერს, ვერც ქარი,
არც უქონლობა პურისა,
შორს ისმის ხალისიანად
ხმა ჩემი სალამურისა.

მულამ თან დამდეგს წკმუტუნით
ჩემი პატარა თოლია,
საქონელს იქით აბრუნებს,
საითაც კაი მოლია.

და ასე, შებინდებამდის,
ის ყუფთ, მე კი მღერითა
საქონელს თვალყურს ვადევნებთ
შორიანლოდან მზერითა.

ვის არ გაუგონია ბავშვების საყვარელი მწერ-
ლის—ძია შიოს სახელი, რომლის შესანიშნავ
ლექსებზე შრავალი თაობა აღიზარდა.

ჩემო პატარავ, შიო მღვიმელი რომ საერთა-
თვლით გენახა, ყელზე მოეხვეოდი, ძია შიო
გულში ჩავიკრავდა, მშობლიური აღერსით აყა-
სებდა. პოეტი ვინაობას გამოგკითხავდა, სახა-
გებლო რჩევა-დარიგებას მოგცემდა და გზას
სკოლისაკენ დაგილოცავდა...

ძია შიომ, უმაწვილობიდან ღრმა სიბერემდე
ბულბულის წარმატაცი ხმით უფალობა საყვარ-
ელ საშობლოს და ყოველგვარი ბედნიერების
ბურჯს—ღედა ენას:

„ვით მე არ ვცვლი ვარდს ეკალში
და ვინატრი მისხა ღუნანს,
ნურც შენ ვაცვლი ნურაფერში
სამშობლოს და ღედა ენას.“



სალამო ეამზე დამაძღრებს
შინისკენ მოველაღეზი
და ყველას სასიამოვნოდ
ჩვენზედა რჩებათ თვალეზი.



ქ ა ა უ შ რ მ

ძია შიო გირჩევის, მარადუამს თვალწინ გედ-
ვას შენი მომავალი კაცობის ორი უწმინდესი
კერა: ოჯახი და სკოლა, მშობლები და აღმზრ-
დელი მასწავლებლები.

გულშოღვინედ დაეწაფე ცოდნას, მომავალ
პროფესიად აირჩიე ისეთი საქმე, რომელიც სარ-
გებლობას მოგიტანს შენ და შენს ქვეყანას. ნუ
შეეჭვიანები, რაც შენს ძალღონეს აღემატება,
რაც შენს სულსა და გულს არ იზიდავს.

უოველთვის და ყველასთან იყავი ზრდილი,
თავმბაბალი, გულწრფელი და პირდაპირი. აი,
ამგვარ რჩევა-დარიგებას გაძღვევთ ძია შიო თავის
ლექსებში.

ვის არ გისწავლიათ, ან არ გიმღერიათ:

„შე პაწია მერცხალი ვარ,
მოუკიპიკე, მოალერსე,
ნეტავი რა დაგიშავე,
ქვებს რომ მესვრი, ბიჟო სესე.“

ძია შიოს საუკეთესო ლექსები: „ობოლი“,
„შოშია“, „ია“, „კურდღელი და ივანიკა“, „თამ-
რიკო და ნინა“, „ნაბია და წკიპა“ და მრავალი
სხვა ჩვენი ნორჩი თაობის საუვარელი ლექსებია.

ძია შიოს ძლიერ უყვარდა ბავშვები და ბავ-
შვებსაც მუდამ ეუყვარებოდათ თავიანთი სასიქადუ-
ლო, საუვარელი მწერალი. აი, ასე გიმღეროდათ
პოეტად:

„ჩემო პაწია მერცხლებო,
ჩემი სიცოცხლის სხივებო,
საუვარლად მოუკიპიკენო,
თქვენ, ჩემო გულის მძივებო.“

მადლიერი ქართველი ხალხი, თებერვალში
დიდი სიუვარულით აღნიშნავს ქართული საბავ-
შვო ლიტერატურის კლასიკოსის—შიო მღვიმე-
ლის დაბადების 100 წლისთავს.

ძია შიოს სახელი, მის ლექსებთან ერთად, მა-
რად იცოცხლებს პატარების გულში.





ბი მილიონნენ გორაკისკენ. ვამეხის ბებიას ძალიან ეშინოდა და ბიჭს არსად უშვებდა.

მოსწყინდა ყველაფერი ვამეხ-ბიჭს. იფიქრა, როდემდე უნდა ვიჯდე შინ, შარშან რომ ვიყავი, ისეთი პატარა ხომ აღარა ვარო. ახლა არც ბოჩოლასთან თამაში ართობდა, არც მამალი ინდაურის სტევენით გალიზიანებდა...

ერთ დღეს ბეზიას გაეპარა სახლიდან. იარა, იარა, ვრცელი მინდორი გადაიარა, დღეს მიაღდა. გაიხადა ფეხზე და წყალში შეტოპა. წყალი გრილი იყო. მგორე ნაპირზე გავიდა, ფეხზე ისევ ჩაიცვა.

ვამეხი და რეზი

ანჟორ ბუბაძე

ნახატი ზურაბ რაზმაძისა

ეს ერთი თვეა ვამეხი სულ მარტოა. ბიჭები სკოლაში დადიან. ვამეხი ჯერ პატარაა და სკოლაში არ დადის. პირველ სექტემბერს გივი, ჯოტო და გოგი სკოლაში წავიდნენ, პირველ კლასში. ვამეხმა ერთი კი გაიწია, აიტენა, სკოლაში გამიშვითო, მაგრამ ბებია და, ერთი სიტყვით, ყველამ უთხრა, სუ, ბიჭო, გაჩუმდი, გაისად გაგიშვებთო.

იჯდა პატარა ვამეხი შინ, დღეებს თითებზე ითვლიდა. თელა თავისი ძმის ჯოტოს ჩხირებით ისწავლა. უცდიდა, თუ როდის მოვიდოდა მომავალი სექტემბერი.

ლღღვზე აძვრებოდა, ტოტზე ჩამოჯდებოდა და ჩაფიქრებული გაღმა გორაკს შესცქეროდა.

გორაკი არც ისე შორს იყო, მაგრამ ვამეხი არასოდეს არ ყოფილა იქით. არც სხვა ბიჭე-



ვამები აღმართს შეუღდა. მირბოდა და უხაროდა ბიქს. გორაკზე რომ ავიდა, განციფრდა: „მე კი მარტო ცა მეგონა აქეთ“.—გაიფიქრა ვამებმა. იღვა და უსასრულო ქვეყანას გადაჰყურებდა. გული სიხარულით აფისო. მოწყენილობა გაუქრა. „აქამდეც უნდა წამოვსულიყავი. ბებია არ მიშვებდა“.—ფიქრობდა ბიქი. მზე ბრწყვიალებდა. მოჩანდა დიდი სახლები და ნაცრისფერი გზები.

იქვე ბუჩქებში თხები ბალახს ძოვდნენ. ვამებმა ბუჩქებისაყენ გადააბიჯა. უცბად პატარა ბიქი დაინახა. ის უცნობი ბიქი კუნძზე ჩამოაჯდარიყო.

ვამები ბიქს მიუახლოვდა:

— რა გქვია?—შეეკითხა.

— რეზი. შენ?

— ვამები.

— ჩემს ძმას ბახვა ჰქვია.—თქვა ბიქმა.

— პატარაა?

— ჩემზე პატარაა.

ბიქები მოლოზე ჩამოსხდნენ.

— სკოლაში არ დადიხარ, რეზი?—იკითხა ვამებმა,

— არა. ჯერ ექვსი წლისა ვარ. შენ რამდენის ხარ?

— მეც ექვსის.—უბასუხა ვამებმა.

— მე წელს სკოლაში არ გამოშვებს.

— არც მე!—ნაღვლიანად თქვა ვამებმა.

— ეე, მე სულ მარტო ვარ.

— იცი, რა ვქნათ?

— რა?

— ყოველდღე შევხვდეთ ამ ადგილზე.

— კარგი.—თქვა რეზიმ.

— ვითამაშოთ. ბახვაც მოიყვანე. გავერთობით. მე ზღაპრები ვიცი.

— მოვიყვან.

ბიქები ძალიან, ძალიან გახარებულები იყვნენ.



დაჩი სავაჟნოე ბნოთი აონიჩა

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი



ოზია იოსელიანი

ნახატი ჯგერა ლოლასი

დაჩი სავაჟნოე დათქვა სახელი, როგორც საოცარმა მონადირემ. ყველამ გაიგო და დაიჯერა, რომ დაჩი ცოცხლად დაიჭირა ვეფხვი, მისი ძუძუ წოვა და მერე თავის შვილებთან გაუშვა.

ყველამ დაიჯერა და ბაჩოს რა ღმერთი გაუწერა, რომ ღმირილი უცქერის აკვანში ჩაქრულ დაჩის და ხავევოდ აქნევს თავს!

დაჩის გული მოხდის, როგორ არ მოგივა გული, როცა ვეფხვის ცოცხლად დამქერ მონადირეს ვინმე ექვის თვალთ შეხედავს.

დაჩი ძალიან გულმოსულია და მანო ამბობს:

— შენ ამ ქვეყნად არაფერი არ გჯერა, ბაჩო!

— რატომ არ მჯერა?

— არ გჯერა და მინცდამინც გინდა ადა-

მიან გული გაუტეხო! დაჩის რომ ვეფხვისათვის ტყავი გაეძრო და მოეტანა, დაიჯერებდი, რომ იგი კარგი მონადირეა, მაგრამ ბოკვერებს დედა არ ეყოლებოდათ.

ვეფხვი ალბათ ბევრს მოუკლავს. ცოცხლადაც დაუქერიათ და ზოპარკში ან ცირკში წაუყვანიათ; თავის შვილებთან კი მარტო დაჩიმ გაუშვა.

— შენ არ გჯერა, ბაჩო, არ გჯერა იმიტომ, რომ მთელი დღე სკოლაში ხარ, მთელი ღამე გძინავს, დაჩი კი, ღამით ჩუმად დგება და მიდის შორს, რადგან ვეფხვები ჩვენს ტყეებში აღარ ბინადრობენ.

— იმის შემდეგ, რაც ვეფხვი გაუშვა, ბევრჯერ იყო?

— ბევრჯერ.
— იქაურ მონადირეებს დიდ პატივისცემაში ეყოლებათ ასეთი მონადირე, — ისევ იღიმება ბაჩო. პირდაპირ საკვირველია: რა აცინებს ამ ბაჩოს? სტუმარი კარგი მონადირეც რომ არ იყოს, მაინც სტუმარია, და მითუმეტეს, დაჩის ამბავი ხომ ყველამ იცის.

— დიდი ქვივი და ღვინი ექნებოდათ.
— სწორედ რომ დიდი ღვინი ჰქონდათ.
მაგრამ ბაჩო ასე იოლად არაფერს დაიჯერებს, თუ ყველაფერი კარგად არ უამბე. ის კი არა და, შეიძლება ზოგი რამ მერეც არ დაიჯეროს.

— დაჩი რომ ჩავიდა, იქაურმა მონადირეებმა დიდი წვეულება გაუშართეს. რა გინდა, სულს და გულს, როგორ ფაფას ინატრებდი, რომ არ ჰქონოდათ, პირდაპირ ქვაბებით იდგა სუფრაზე და თბილი ორთქლი ასდიოდა. ზოგი ფაფა ღომივით სქელი იყო, ზოგი კი ისეთი თხელი, შეგძლო ბოთლში ჩაეხსნა და საწოვარათი დაგეოდა. ახლა რძეს არ იტყვი? რისი რძე გინდოდათ, რომ იქ არ იყო! ჩიტის რძეც არ აკლდათ. ქამდნენ ფაფას და აყოლებდნენ რძეს. მის გვერდით მონადირეს, ორად ორი თეთრი კბილი რომ უჩანდა, წინ სქელი, მოყვითალო რძე ედგა. ერთი მონადირე კი წყალდაკრული რძის დაღვევას აპირებდა, თვითონ დაჩის მოციხფრო რძით სავსე საწოვარა ედგა.

— მასპინძლებო, — თქვა დაჩიმ და ადგა, ყველამ დააპირა წამოდგომა, მაგრამ დაჩიმ ხელით ანიშნა იჯექითო, — სხვადასხვა რძეს სხვადასხვა მარგებლობა აქვს.

— მართალია! — თქვა მაგიდის თავში მჯდომმა მონადირემ, რომელსაც შუბლზე ცრუ საწოცარას რგოლისოდენა ტყლიპი ჰქონდა, — თქვენ თვითონ აირჩიეთ, რომელი რძე უფრო მოგეწონებათ და ის დალიეთ.

დაჩიმ ბოთლი ხელისგულზე დაიდო, მზეზე გახედა, მერე რძე მოსვა და თავი გააქნია: როცა ბევრნაირი სასმელია, არჩევა გვირს ადამიანს, წინ მერე სასმისი დაუდგეს, ახალი, უხმარი საწოვარათი.

— ვერც ამა დავიწუნებ, მაგრამ ცოტა ზედმეტად ტკბილი მეჩვენება!

— მართალია, — დაეთანხმა ექვსკბილიანი მონადირე, რომელმაც მასპინძლებს შორის რძის ავტორიანობა ყველაზე კარგად იცოდა, და თვითონ გადმოუდგა დაჩის თბილი, მოგარძო ბოთლი, ვარდისფერი რძით სავსე.

— ლამაზი ფერი აქვს, — თქვა მაშინვე დაჩიმ.
— გემო, გემო ნახე! — გაიბადრა ექვსკბილიანი.
— უფრო კარგი რძე ქვეყანაზე არ იქნება, — თქვა დაჩიმ, როცა ერთის მაგიერ ოთხი ულუპი მოსვა.

— მართალია!
— მართალია! — ახმაურდა სუფრა.
— მაგრამ... — დაჩის რაღაც უნდოდა ეთქვა და მოერიდა.

— რა მისდა?
— ამასაც იწუნებს?
— შე წუნია არა ვარ, — თქვა დაჩიმ.
— ეს ხომ ჩიტის რძე იყო! — წამოცდა ვიღაცას.

— იმიტომაც მომეწონა, მაგრამ მე ერთი აქაური რძის გემო ვიცი...

— აა! — იუვირა ტყლიპიანის გვერდით დიდ-თავა მონადირემ.

— ახლავე.
დიდთავა მონადირემ დაჩის ვეფხვის რძე მოუტანა. როცა დაჩიმ ისიც გასინჯა, თავი გააქნია, გაიღიმა და ორი ახლამოკრილი ქვედა კბილი გამოაჩინა.

— გაუმარჯოს დაჩის!
— გაუმარჯოს!
— ყანწი მომეცი! — თქვა დაჩიმ.

ყანწის ხსენებზე მასპინძლებმა პირი დაადგეს და ვის რამდენი კბილი ჰქონდა, გამოუჩინა, — ვერ გაიგეს, რა იყო ყანწი.

— მონადირეებო, რქა მინდა!
სუფრიდან რამდენიმე მამაცი მონადირე ადგა, ტყეში გაუჩინარდა და მღვდელ უჩანამაზარი ცოცხალი მარტორქა მოიყვანეს.

დაჩიმ ცხვირში წაავლო ხელი და შუბლზე დაკერებული ერთადერთი რქა ააძრო, რძით აავსო და მთელი ქვეყნის მონადირეები აღდგებოდნენ. როცა დალია, ყანწი ფრჩხილზე დაირეკა და ტყლიპიან მონადირეს ესროლა. სასმისმა რომ ჩამოიარა, დაჩიმ ცარიელი ყანწი ისევ მარტორქას ჩამოაცვა ცხვირზე და გააშვებინა.

— ვეფხვის რძე ჰყვარებია, — გადაულაპარაკა გვერდით მჯდომმა ორკბილიანმა.

— მართალია, — დაეთანხმა დაჩი. — დედის რძის მერე ვეფხვის რძეს რძე არ მირჩევნია. რა ვქნა, ასეთი ხასიათი მაქვს! — გაუტყდა ცნობილი მონადირე დაჩი მეგობარს.



ყველაზე

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

პაპი პართიკაპა

ნახატი ლიმიზი სარაუნიანი

ერთ დღეს ყრუყინა მინდორში გამოსულიყო და მწვანე ბაღას ხარბად ძოვდა. დამშეული ბუბები გულნ-გულნად დახვედნენ სახედარს და უმოწყალოდ კბენდნენ; მაგრამ ყრუყინა ისე იყო მოქანტული და მოშეებული, რომ აბეზარი ბუბების მწარე კბენას არაფრად აგებდა და თავაუღლებლად ბაღასს ძოვდა და ძოვდა.

ბიჭებმა ხმამალადი დაპარაკით ფერდობი ჩაირბინეს და გზის პირას შეჩერდნენ.

— ბიჭოს, ჩვენი მეზობლის ღურჯა!—წამოიძახა გვიცი.

— რალა ფეხით მივდივართ, შევაჯდეთ ზურგზე, ორივეს გვზიდავს,—თქვა ზურაბმა.

ყრუყინამ ცაღი თვალთ გახედა ბიჭებს, მაგრამ ბაღასისთვის თავი არ მიუწუნებოდა. ბიჭები მასთან მივიდნენ და თოკის ამოღება დაგმოვით რომ დაუპირეს, მაშინ კი აიღო თავი და ყმაწვილებს მიაშტერდა: უფრო კარგ საძოვარზე უნდა წამიყვანონო,—გაიფიქრა.

ზურგზე შეაჯდნენ ბიჭები, ყრუყინა ან განძრეულა, ტვირთი ეძძიმა, მაგრამ მეზობლის ბიჭებს ხომ ვერ ვაწყენინებო, —გაიფიქრა და ჩაქჩაქით გაემართა.

ჩამოიტოვეს მინდორი, გვერდი აუარეს ვენარებს, მიხვეულ-მოხვეული გზით იარეს, იარეს და ბოლოს მწვანე მოღით დაფარულ მინდორში გავიდნენ.

„აღბათ, ამ მწვანე ბაღახზე უნდა მიიბვივან,“—გაიგლო გულში ყრუყინამ, მინდორს თვარი მიმოავლო, კმაყოფილებით აფრტუხუნდა და ნაბიჯი შეანუნდა.

ბიჭებმა მაშინვე სადავე დაქაჩეს: „აჩუ, აჩუ!“ დაუყვირეს და თან წყებაც მაგრაღ გადაჭკრეს. ბაღასისაკენ სულაც არ მიახვეს და მინდორი ძუნძულით გადაატარეს.

ჩაიარეს ფერდობი და ხევში ჩავიდნენ. ხევში ანკარა სუფთა ლედე მოჩხრიკებდა. სახედავმა წყლის დანახავზე ყრუყინი მორთო. „რა კარგი ბიჭები არიან, აღბათ ჯერ წყადი უნდა დამალევივნო, და მერე კი სადმე მწვანე ბაღაბი მაკამონო“, —დაიიშედა თავი ყრუყინამ და წინა ფეხები წყადში რომ ჩადგა, ადგილიდან დაძვრას

ლომის
ქაჯის
თავბადასკატი

(გაგრძელება)
პირლ ლოპი



— აჰა, მოვიტანე საღებავი ზოლებისათვის,—უთხრა მამიქუნს.

ბებერმა მამიქუნმა მაშინვე მოჰკიდა ხელი საქმეს. ამ სამუშაოს დიდი დრო დასჭირდა და პატარა ლეკვი პირდაპირ ჩამოწყდა ფეხზე დგომით, მაგრამ ეს არაფრად ჩაუგდია, ახლა იმასლა ფიქრობდა, როგორ გაოცდებოდნენ მისი მშობლები ასე რომ ნახავდნენ. რა მომზიბვლი იქნება! როგორ შეშურდებათ მეგობრებს მისი!



ალარ აპირებდა. უნღოდა, წყალს ხარბად დასწაფებოდა.

ბიჭებმა კი, სწორედ მაშინ დასტყვიდნენ და კაი მაგარი სახრეც გადაუტყვირეს.

მეტი რა გზა იყო, ყროცინა. მეორე ნაპირზე გავიდა, ბრამზორულმა ამოიქშინა და ტყისკენ მიმავალ გზას გაუყვა.

ტყის შუაგულშიც შევიდნენ, მაგრამ იქ არც მინდორი იყო და არც წყარო ჩანდა სადმე. ასწლოვან ხეებს ტოტები მალდა აღემართათ და უხმოდ იდგნენ.

ასეთ მიუფვად, უდაბურ ადგილას ყროცინა არასოდეს ყოფილა და შიშმა შეიპყრო. ბიჭები ისევ „არუ, არუს!“ გაჰყვიროდნენ და

წყველებს იმარჯვებდნენ; როგორც ჩანდა, ყროცინა ტყის სიღრმეში უნდა შეეყვანათ.

აი, გაიარეს ცოტა მანძილი. ყროცინამ მიიხედ-მოიხედა:—ნეტავი აქ რად მომიყვანესო,— გაიფიქრა, მაგრამ აქვე ხის ძირას შეშის გროვა დაინახა, მაშინვე ყველაფერს მიხვდა: „ნამდვილად მაგ ონავერებმა შეშის გულურები ტიტვედ ზურგზე უნდა ამკიდონო“. მოტირიადა, დიქშინა, შედგა ყალბე და ბიჭებმა უცებ მიწაზე მოაღიწეს ზღართანი. გონს რომ მოვიდნენ და წამოდგნენ, ყროცინა უკვე შორს იყო, თოკს მიწაზე მიათრევდა და ტყიდან დათხოილი გარბოდა.

მაიმუნი საქმეს როგორც კი მოჩნა, ლეკვმა შინ დაბუნება იჩქარა. გზად ვეფხვების ბუნაგს ჩაუარა. მისი ნახევარე გაოცებულმა დედა ვეფხვმა „ეს რა მოჩვენებააო!“—შეჰყვირა.

მაგრამ ვეფხვის ბოკვერმა იცნო იგი და სიცილი უტყდა. —მოჩვენება კი არა, ლომის ლეკვია ნილაბშიო!—ერე უკან დაედგნა ევრილით.—წამხედურა, წამხედურა!— მას სხვა მხეცებიც აჰყვენენ:





კოჭაი, ვინაი რა იყო

ჭაბუა ამირაჯიბი

ზღაპარი

ნახატი ივარი ქლიპაძე

უხსოვარ დროს ერთი მოხუცი ცხოვრობდა. მისი დაბადების მომსწრე ქვეყანაზე არავინ იყო და მისი სიკვდილიც საკუთარი თვალით დღემდე არავის უნახავს.

მოხუცი ძლიერ გამრჯე და მუყაითი კაცი იყო. ზომიერად ცხოვრობდა, მშვიერი არ იყო და არც მუცელს ინებივრებდა, ტიტველი არ იყო და არც ხავერდსა და აბრეშუმს ატარებდა, ჰერი ჰქონდა და სასახლეს არ ნატრობდა. მოხუცი ასე იმიტომ ცხოვრობდა, რომ ცისმარე დღე გაჭირვებულ კაცზე ზრუნვაში უთენდებოდა და უღამდებოდა.

ერთხელ, მოხუცმა ტყეში კომბალი ნახა. გაიფიქრა: «ალბათ ვინმეს დარჩენია, გამოივლეს და წაიღებსო». კომბალმა ხმა გამოიღო და მხუცს უთხრა:

— მხარზე გამიღე, შინ წამიღე, შენც გამოგადგები და სოფელსაცაო!

მოხუცმა კომბალი მხარზე გაიღო, შინ მიიტანა და სხვენზე შემოღო. რამდენიმე დღის შემდეგ, მოხუცმა გზაში ფიწალი ნახა. გაიფიქრა: «ალბათ ვინმეს დარჩენია, გამოივლეს და წაიღებსო». ფიწალმა ხმა გამოიღო, მოხუცს უთხრა:

— მხარზე გამიღე, შინ წამიღე, შენც გამოგადგები და სოფელსაცაო!



— წამხედურა, წამხედურაო! — მიძახოდა ყველა. ჟირაფმა უყვირა: — შენ რა, გინდა ჩემსავით ხალისი გახდე? თუთიყუშმა წაუსხინა: — კულზე ფრთა რატომ არ გამოიბი?

მხოლოდ ზებრამ დაუჭირა მხარი: — შენ გგონია მარტო შენ გაქვს უფლება აგრე ხატურა იყო? — უთხრა მან ვეფხვის ბოკვერს. შემდეგ ფოცხვერმა შეუღრინა ჟირაფს: — ტყუილად



მოხუცმა ფიწალი მხარზე გაიღო, შინ მიიტანა და საბძლის კუთხეში მიაყუდა.

კიდევ რამდენიმე დღე გავიდა, სოფელს მტერი შემოესია. ქალებმა, ბალებმა და ავადმყოფებმა თავი კლდესა და ღრეს შუაფარეს. მოხუცი სოფელში დარჩა. ვაჟაკები სოფელში დაიხოცნენ. მტრებმა მოხუცი ტყვედ ჩაიგდეს და მარჯვენა ხელი და მარცხენა ფეხი მოჰკვეთეს. სოფელი ნაცარტუტად აქციეს, ბალ-გენახები გაჩეხეს, ყანები გადაბუგეს, სოფლის ნახირი მოაგროვეს, თავისი ოხერი ქვეყნისაკენ გაირიეს და წავიდნენ.

წავიდნენ და სახლის ნაშალიდან კომბალმა ამოიხედა; ყირა-ყირა წამოვიდა და მოხუცს მარცხენა ფეხად შეუდგა. მოხუცმა წამოიწია და ზეზე წამოდგა. საბძლის ნახანძრალიდან ფიწალმა ამოიხედა; ყირა-ყირა წამოვიდა და მოხუცს მარჯვენა ხელად შეება. მოხუცმა ქერო მოიტეკა,

გაიფიქრა, სხვა სოფელში წავალ, იქ დაგეთხადეს სიკეთესაო, და გზას გაულგა.

მცირე მანძილი რომ გაიარა, ბრტყელი ლოდი ნახა. ლოდმა ხმა გამოიღო, მოხუცს უთხრა:

— რაც სიკეთე და მადლი გიკეთებია, ყველა აღნუსხული და დახსომებული მაქვს. სამაგიერო უნდა გადაგიხადო, რასაც ინატრებ, ყველაფერს აგისრულებ, თქვი, რა გინდაო!

მოხუცი დაფიქრდა და სთხოვა:

— ეს სოფელი მტრის შემოსევამდე როგორც იყო, ისე ააგე და დაამშვენეო!

დაბზრიალდა ლოდი. სახლები, ბელლები, საბძლები, გომურები და წისქვილები, თვალის დახამხამებაში თავ-თავის ადგილზე წამოსკუბდნენ. აბიზინდა მინდორ-ველი. წუთიც არ გასულა, ყველა—დიდი და პატარა თავ-თავის კარმიდამოს დაუბრუნდა, სოფელი აყრიამულდა. მოხუცმა გაიხარა, გაიხარა და ხელფეხზე დაიხედა. დაიხედა და გაიფიქრა: «ამ კომბალსა და ფიწალს თავ-თავისი საქმე აქვთ, როდემდის მოკვაციანო, ავადგები და გავუშვებო. უხელფეხოდ დავარები და ვერაფერს გამოავადებები. თუ ვერავის გამოვადებე, მაშინ აღარც სიცოცხლე მინდაო!» ადგა მოხუცი და სოფელს გამოუცხადა:

— აგერ, იმ გორაკზე თუ სამარის ბორცვი ნახოთ, იცოდეთ, ჩემი საფლავი იქნებაო!

სოფელელებმა, მართლაც, რამდენიმე დღის შემდეგ გორაკზე სამარის ბორცვი ნახეს. აიტანეს ჯადოსნური ლოდი და სამარეს დაადეს. ზედ დააწერეს: «მადლი ჰქენი, ქვაზე დადე—გაიარე, წინ დაგხვდებაო!»

გგონია, რომ შენ ერთადერთი ხარ ამ ქვეყნად ხალიანი! ერთი სიტყვით მხეცები მოჰყვენენ კამაოს, მაგრამ დახეტ, ერთბაშად ყველა გაჩუმდა, და სიტყვაძუნწმა მარტო-რქამ იკითხა:

- სად იშოვა ამ ლეკვმა ეს სახაცილო ზოლები?
- სოფელში,—უპასუხა ბებერმა მაიმუნმა.
- სოფელში?—მხეცები სახტად დარჩნენ და ყველამ აღტაცებით დაუწყო მზერა პატარა ლეკვს.



ბესაზღომნი

მეუ პილისიკოპი

ჯანსუღ ჩაჩუჩანი

სუყვედაზე მალაღია,
 სუყვედაზე ძლიერი.
 მარვდისა და ქუდის კანტი
 ღვივის, როგორც იერი.
 მას უბანში ასე ჰქვია—
 ძია მიღიცვილი.
 მშვიდობაა, ცისკარს უგავს
 ჩემს ტუბიდ თბილის იერი,
 ჩვენ გვძინავს და ქადაქს იცავს—
 ძია მიღიცვილი.







— შენ სოფელში იყავი? — იღრიალა მამა ლომს.
 რომელსაც ტყეში ატეხილი ხმაური გაეგო და ის-ის იყო
 მოკამათებებთან მოვიდა

— სოფელში? — გაიმეორა დედა ლომმა. იგი მზრუნველად
 უსინჯავდა შვილს დაშავებულ თათს. გაავებულს
 კაქტუსმა რომ უჩხვლიტა.

დედა ლომი ამაუად ეამბორა შვილს და შემდეგ გატეხულმა
 შესძახა:

— ლმერთო ჩემო! შეხედეთ, მას ფაფარი წამოზრდა
 ახალგაზრდა ლომმა — ცხადია ის უკვე აღარ იყო ლეკვი —
 სიხარულით გაიქნია თავი.



აღჭრათოვანებულმა მხეცებმა ერთხმად შესძახეს -ვაშა, ვაშაო!- და ჯუნგლებს პატარა ლეკვის დავაუკაცება ამცნეს. შემდეგ შამა ლომი, დედა ლომი და ახალგაზრდა ლომი დინჯად წავიდნენ შინ. ისინი არ ჩქარობდნენ, ანდა რა იყო საჩქარო, წინ იყო მთელი ზვალინდელი დღე ამ სულელური ზოლების ჩამოსარცხად.

ახალგაზრდა ლომი მეტისმეტად კმაყოფილი იყო საკუთარი თავის. მის კისერს საამოდ ეთამაშებოდა პატარა ფაფარი, უდაო საბუთი იმისა, რომ ის უკვე გაზრდილიყო, და მალე, სულ მალე მამასავით დიდი გახდებოდა.

ინგლისურიდან თარგმნა ბაბუღია შელიამ.





1



3

1. „მსახობი“. ნახატი თინათინ თათარაშვილისა, V კლ. მოსწავლე. თბილისი.
2. „ქალი ყვავილებით“. ნახატი შია ჩხაიძისა, 8 წლის. თბილისი.
3. „მშვიდობა“. ნახატი თამარ გველესიანისა, 10 წლის. 63-ე სპე. სკ.
4. „გაზაფხულდა“. ნახატი მარია ქეცხიშვილისა, 4 წლის. სავარჯულოს რაიონი, სოფ. ბურღინი.



2



4

76055

რედაქტორი ჯანსუღ ჩარაქვიანი. ხარდვაქეთი კოლეჯია: ბ. ნაბიძიძე, კ. ბოგინაშვილი, ჯ. ლომუა, მ. შ. შაველიშვილი. ჯ. ნინუა, შ. სხალამ (სამხატვრო რედაქტორი), ნ. წულაიშვილი (რედაქტორის მოადგილე). რ. პინიშვილი ხაქორთველთა ალკ. ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის წიარჩ მოძრაობის ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ვერხალი

ყდის მხატვრობა ზეარბ მემარიაშვილისა

ტექნოლოგიური ბ. რ. 050/330

გამოცემის ოცდამეცხრამეტი წელი. რედაქციის შემოსული მასალები ავტორებს სრ. დაუბრუნდებათ. გამოცემის „ნიკაშული“, გამოც. წყვილ № 2377, ზეარბის ზეგ. № 003, ტიპოგრაფია № 5290, ხელმოწერილი დასაბეჭდად 1965 წ. ივნისის დასაბეჭდად. კ. ც. ვაისწყლის პოლიგრაფიკის სახელობის უნივერსიტეტის კ. № 16 „ნიკა“- № 2-ის ტრუკოლოგია. თბილისი, პროფ. პავლიანი № 11. რედაქციის მისამართი: თბილისი, პუშკინის ქუჩა, № 91, ტელ. 5-37-58, 5-18-09.

მარტი 20 1965